დანართი №2

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“
მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“
დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ვერიკო ჭიღლაძე
წევრები:
ტიტე ბოლქვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 ივნისის MES 3 25 0000629095 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯში "ახალი ტალღა" პროფესიული საგანამანთელბლო პროგრამის "საწყობის ოპერირება" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით და შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის შესაბამისად 2025 წლის 1 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯში "ახალი ტალღა" (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154). ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვნელს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებსა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და მატერიალური რეურსები. შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საწყობის ოპერირება; Warehousing
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში; Secondary Vocational Qualification in Warehousing
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0416
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 27 მაისის ბრძანება №01-04/108
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასაბუთება

.....
.....
.....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის №01-04/112 ბრძანებით, ცვლილება: 2025 წლის 27 მაისის №01-04/106 ბრძანება), რომლის თანახმადაც მოხდა პროფეიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ შემუშავება. გაწერილი მექანიზმების თანახმად სსიპ კოლეჯის "ახალი ტალღა" საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათისა და „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, კოლეჯის წესდების და ამავე წესდების მე-5 მუხლის ,,ი“ პუნქტის შესაბამისად დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2024 წლის 14 ნოემბერს გამოცემული ბრძანებით №01-04/202 შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები №1 და №2. დაწესებულებას შემუშავებული პროგრამის საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის ნება ეძლევა განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 31 იანვრის წერილის MES 3 25 0000087312 თანახმად.

დაწესებულების მისიაა „ სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მისიაა პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა.“

სწორედ შრომის ბაზარზე შესაბამის უნარებზე და კომპეტენციებზე მაღალი მოთხოვნა წარმოადგენს სსიპ კოლეჯის "ახალი ტალღა" საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ მიზანშეწონილობის დასაბუთების მთავარ არგუმენტებს, რომელსაც ამყარებს აჭარის რეგიონში ტურიზმის, კვების მრეწველობისა და საცალო ვაჭრობის სფეროების განვითარების დონე. დოკუმენტში ვალიდურ კვლევებზე დაყრდნობით მკაფიოდ არის წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საჭიროება. აღნიშნული მიზნები თანხვედრაშია • კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმის (2019-2025 წლებისთვის) ამოცანასთან „1.3. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება“.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.1 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 27 მაისის №01-04/108 ბრძანებით) მიხედვით პროგრამაზე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით, ცვლილება: 2025 წლის 20 მაისის №01-04/94 ბრძანები) მუხლ 3-ში. მექანიზმების თანახმად პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.2. შეფასდა შესბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ 2022 წლის 14 იანვრის №01-04/06 ბრძანებით). დოკუმენტის თანახმად დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოს ფართი ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში) და რესურსი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით;
- დასაშვებია ერთ სივრცეში ორი ან მეტი ტიპის სასწავლო გარემოს კომბინირებული მოდელის შექმნა. მაგალითად ერთ სივრცეში A და B, A და C, B და C ან A, B და C გარემოს კომბინირება.
- დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, ასევე ცხრილის შედგენის შესაძლებლობა შეჭრილი ცხრილის პრინციპით.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა.

შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.

კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საწყობის ოპერირება“ ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება. დოკუმენტის თანახმად ორცვლიანი სწავლების პირობებში პროგრამის რესურსი შესაბაისია მოთხოვნილი კვოტის 30 პროფესიულ სტუდენტისთვის.

- პროგრამის ხანგრძლივობას წარმოადგენს - 71 სასწავლო კვირს ანუ 18 სასწავლო თვე;
- გამოყოფილი სასწავლო გარემო - A გარემო 1 (15 პროფესიულ სტუდენტზე), B გარემო 1 (15 პროფესიულ სტუდენტზე), C გარემო 1 სასწავლო ლაბორატორია; აღსანიშნავია, რომ სასავლო გარემოები გამოიყენება მხოლოდ ამ პროგრამისთვის.
- ადამიანური რესურსის რაოდენობა - 12.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვა განისაზღვრება პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ შესრულებული სხვადასხვა სამუშაოს გათვალისწინებით. ერთ პროგრამაზე პროფესიული მასწავლებლის საკონტაქტო დატვირთვა არ აღემატება 32 საათს კვირაში, ორცვლიანი სწავლების პირობებში.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.3 შეფასდა შესაბამისად, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ განხორციელებისათვის მოდულების შესაბამისად დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის და რესურსების სია (დანართი 3 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი), რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან. დაწსებულებას წვდომა აქვს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.4. შეფასდა შესბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. **ინდიკატორი 2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან ვერ შეფასდა, რადგან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საწყობის ოპერირება“ არ აქვს არჩევითი მოდულები.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 27 მაისის №01-04/108 ბრძანებით. აღნიშნული უფლებამოსილება გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მე-5 მუხლში.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.6. შეფასდა შესბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - საწყობის ოპერირება საფუძველზე. შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.7. შეფასდა შესბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. • სსიპ კოლეჯს "ახალი ტალღა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება“ შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „საწყობის ოპერირება“ (სარეგისტრაციო ნომერი 04.1.1) საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პიროებები, პროგრამის მოცულობა, დაწესებულების მიერ, წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს. ასევე, ქართული ენის მოდულს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.8 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის №01-04/112 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: 2025 წლის 27 მაისის №01-04/106 ბრძანება);
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა" საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი (23/05/2025 MES 1 25 0000571781);
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 14 ნოემბერის ბრძანება №01-04/202 სამუშაო ჯგუფის ექმნის შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები №1 და №2;
- განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 31 იანვრის წერილი MES 3 25 0000087312;
- კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2019-2025 წლებისთვის;
- სსიპ კოლეჯის "ახალი ტალღა" საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 27 მაისის №01-04/108 ბრძანებით)
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით, ცვლილება: 2025 წლის 20 მაისის №01-04/94 ბრძანები);
- სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ 2022 წლის 14 იანვრის №01-04/06 ბრძანებით);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საწყობის ოპერირება“ ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება;
- დანართი 3 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი;
- ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის კოლეჯს გააჩნია:

15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი A/B ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია №303), აუდიტორია გამოიყენება მხოლოდ ამ პროგრამისთვის და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 1 ერთეული პრინტერი/სკანერი/ასლგადამღები
- 15 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის სადაც ჩატვირთულია საწყობის მართვის პროგრამა.

დაწესებულებას პროგრამს განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი იმიტირებული C გარემო, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს დაწესებულების რეალურ საწყობთა სისტემას. ექპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პრქტიკის ობიექტის გარეშე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

იმიტირებულ გარემოში პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შედეგად შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობა. შედეგად დადგინდა - გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯის მიერ ხორციელდება ბევრი სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულებას აქვს ერთი დიდი, მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი შერეული ტიპის საწყობი (განთავსებულია ტვირთის მრავალფეროვანი ასორტიმენტი), ასევე საკვები პროდუქტების (მათ შორის სამაცივრე), თაბაშირ-მუყაოს, ხის მასალების, სამშენებლო მასალების იზოლირებული საწყობები. საწყობებში ხდება როგორც ტვირთის მიღება-გაცემა, ასევე შიდა ტრანსპორტირება,აღწერა და ჟურნალების წარმოება. დაწესებულებას ასევე აქვს კნაუფის რესურსცენტი, სადაც განთავსებულია კნაუფის ბრენდის სამშენებლო მასალები. საწყობს ყავს ხელმძრვანელი, რომელიც ასევე არის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი. სასწვლო გარემოში განლაგებულია პროგრამით განსაზღვრული ყველა საჭირო აღჭურვილობა.

გარდა აღნიშულისა დწესებულებას 2025 წლის მაისში საწყობის ორგანიზებისა და პროცესების დაკვირვების მიზნით მოწველი ჰყავდა SES საერთაშორისო ექსპერტი, რომლის მიერ დადებული დასკვნისა და გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე მოხდა კოლეჯის საწყობის რეორგანიზება, თანამედროვე მექანიზმების შეტანა და ასევე დაიგეგმა და მიმდინარეობს ახალის სასაწყობე ფართის რემონტი, სადაც შესაძლებელი იქნება გაუმჯობესებული დასაწყობების სისტემის შექმნა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შესაბამისად დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აღჭურვილობით შესაძლებელია სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობით. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით შეჭრილ ცვლაში შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი) მომზადების ერთდროულად გატარება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულია, რომ დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებელად ჰყავს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ შემუშავებული დანართი 2-ით ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, ზოგადი მოდულებისთვის 8 პირია განსაზღვრული, პროფესიული მოდულების განმახორციელებლად 4 პირი, ამათგან ერთი განმახორციელებელი ამავე დროს მუშაობს დაწესებულებაში არსებული საწყობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე და უძღვება პროგრამით განსაზღვრულ პრაქტიკულ შედეგებს.

გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ მათმა კვირეულმა დატვირთვამ არ გადააჭარბოს 40 საათს.

ესპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.2 შეფასდა შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის №01-04-125 ბრძანებით, ბოლო ცვლილება შესულია 2023 წლის 14 ივნისის N01-04/125 ბრძანებით) მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევისას დაწესებულება ითვალისწინებს პირის კვალიფიკაციას, შრომით გამოცდილებას, კომპეტენციებს და მათ შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტის პერიოდში განხორციერლდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.3 შეფასდა შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. სსიპ კოლეჯს „ახალი ტალღა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ ხელმძღვანელი.დამტკიცებული ყავს დირექტორის 2025 წლის 27 მაისის №01-04/108 ბრძანებით. პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი. იგი უძღვება პროგრამის შემუშავებასა და მისი განვითარების პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით/პრაქტიკული გამოცდილებით.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. პროგრამის ხელმძღვანელი არის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარის მქონე პირი, რომელსაც აქვს გავლილი სხვადასხვა სახის ტრენინგი, იცნობს საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს. დაწესებულების დაფინანსებით მას დამთავრებული აქვს ესტონეთის ვალგალას საერთაშორისო კოლეჯის მეხუთე დონის სატრანსპორტო ლოგისტიკის მენეჯერის პროფესიული პროგრამა.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.4 შეფასდა შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება.საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე https://www.kpc.ge. ის, ასევე იძლევა ელექტრონულ რესურსებზე წვდომის და ჩამოტვირთვის შესაძლებლობას. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) ვებ გვერდზე. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, რითაც დასტურდება, რომ ბიბლიოთეკაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 5 კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი). ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.5 შფასდა შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: 2025 წლის 20 მაისის №01-04/94 ბრძანები) თავი IX ინკლუზიური განათლება მუხლი 45. გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. დოკუმენტი თვალისწინებს სსსმ პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო რესურსების წვდომას. დაწესებულებას მარეგულირებელ მექანიზმებში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების დანერგვის, სსსმ პირთა ინტეგირების, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის ასისტენტის, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობის პროცესი, ასევე, დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს მექანიზმების რეალურ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.6 შეფასდა შესაბამისად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამისთვის „საწყობის ოპერირება“ რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს - 11 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტის შესაბამისად პროგრამისთვის შემოსავლის სახეობას წარმოადგენს ვაჩერული დაფინანსება.

ხარჯების ძირითად ნაწილს წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომითი ანაზღაურება, ნედლეული და მასალა, პროგრამის ამორტიზაციის ხარჯი და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი.. წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.7 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მაერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- SES საერთაშორისო ექსპერტთან გაფორმებული ხელშეკრულება, მის მიერ შემუშავებული დასკვნა;
- სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ 2022 წლის 14 იანვრის №01-04/06 ბრძანებით);
- დანართი 2 ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა თაობაზე;
- ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის №01-04-125 ბრძანებით, ბოლო ცვლილება შესულია 2023 წლის 14 ივნისის N01-04/125 ბრძანებით);
- პირადი საქმეები;
- დირექტორის 2025 წლის 27 მაისის №01-04/108 ბრძანება;
- ვებგვერდზე https://www.kpc.ge, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ელექტრონული სახელმძღვანელოები;
- ბიბლიოთეკის დებულება; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: 2025 წლის 20 მაისის №01-04/94 ბრძანები);
- ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას წაარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარებას. დოკუმენტის თანახმად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის №01-04/222 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 27/05/2025 წლის №01-04/105ბრძანებით) დემინგის ციკლის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამათავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში მკაფიოდ არის განსაზღვრული მტკიცებულებების ვერიფიკაციის მექანიზმები. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა შეფასების, კვლევისა, გამოკითხვისა და ვერიფიკაციის ფორმები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 2.3.1.1 შეფსდა შესაბამისად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად მუხლი 6. ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმებს. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის ცვლილების შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს. პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.3.1.2 შეფასდა შესაბამისად, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის №01-04/112 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: 2025 წლის 27 მაისის №01-04/106 ბრძანება);
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის №01-04/222 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 27/05/2025 წლის №01-04/105ბრძანებით);
- შეფასების, კვლევისა, გამოკითხვისა და ვერიფიკაციის ფორმები;
- გასაუბრება პასუხიმგებელ პირებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა, სტუდენტთა კვირეული დატვირთვა, შუალედური შეფასების ინტეგრირება, განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა. სასწავლო გეგმა იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად განხორციელების პროგნოზს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.1. შეფასდა შესაბამისად, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. ექსპერტთა ჯგუფის სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება მუდმივად ორიენტირებულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებაზე. კერძოდ, სასწავლო პროცესის ორგანიზება დაგეგმილია ორ ცვლაში, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინებას და ხელს შეუწყობს მათი ჩართულობისა და აკადემიური წარმატების ზრდას. ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზებას. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, აგრეთვე დამატებითი მეცადინეობებისა და კონსულტაციების ჩატარება სტუდენტის აკადემიური წინსვლისა და ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.2. შეფასდა შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. B სასწავლო გარემოში კომპიტერებში დაინსტალირებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფები. სწავლება დაგეგმილია მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით და მათი მრავალწლიანი სწავლების გამოცდილებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.3. შეფასდა შესაბამისად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. . კოლეჯს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს სტუდენტზე მორგებული სწავლა-სწავლების მექანიზმს, რომელიც საშუალებას იძლევა, შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიღწეულ იქნას ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, ისე მობილობის, სტატუსის აღდგენის, პროგრამის მოდიფიკაციის ან ფორსმაჟორული ვითარებების შემთხვევაში.

გეგმა შეიძლება მოიცავდეს სწავლების შედეგების მოდიფიკაციას ან აკომოდაციას, მათ შორის სწავლებისა და შეფასების განსხვავებულ მეთოდებს, ინდივიდუალურ განრიგს, ადაპტირებულ გარემოსა და დამატებით რესურსებს. მისი შემუშავება ხდება სტუდენტის ჩართულობით (არასრულწლოვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტუდენტის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით) და დამტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ. სწავლა მიმდინარეობს დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.4. შეფასდა შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.5 ვერ შეფასდა რადგან დაწესებულებას არ ჰყავს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორი, სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, იმიტირებულ გარემოში.**

6. სსიპ კოლეჯს „ახალი ტალღა“ წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საწყობის ოპერირებისთვის შრომის უსაფრთხოების წესები (დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2025 წლის 28 მაისის №01-04/112 ბრძანებით). პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.6. შეფასდა შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: 2025 წლის 20 მაისის №01-04/94 ბრძანები);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საწყობის ოპერირებისთვის შრომის უსაფრთხოების წესები (დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2025 წლის 28 მაისის №01-04/112 ბრძანებით).

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯს „ახალი ტალღა“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში თავი VI. გაწერილი აქვს შეფასების სისტემის მექანიზმები. თავი სრულად არის მიმართული პროფესიული სტუდენტების შეფასების გამჭვირვალე, ვალიდური, სანდო და სამართლიანი სისტემის შექმნასა და მართვაზე. დოკუმენტი არეგულირებს შეფასების პროცესის სწორად წრამართვას, შეფასების ინსტრუმენტის შექნა ვალიდაციის პროცესსა და ვადებს, შეფასების მტკიცებულების შეგროვება შენახვის მექანიზმებს, სტუდენტის შეფასების პროცედურებს, მათ შორის განმეორებითი შეფასების, შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასების მექანიზმებსა და შეფასების შედეგების გასაჩივრები წესებსა და პირობებს.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.1. შეფასდა შესაბამისად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. სსიპ - კოლეჯის „ახალი ტალღა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში გაწერილია მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ხარისხის მართვის მენეჯერი - ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ვერიფიკაციის ფორმები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.2 შეფასდა შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფოლიოები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.3 შეფასდა შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. დაწესებულებში შეფასების სისტემა ითვალისწინებს შეფასების შემდგომი პროცედურების დაცვას. შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან/სასწავლო პროცესის კოორდინატორისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.4 შეფასდა შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: 2025 წლის 20 მაისის №01-04/94 ბრძანები);
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის №01-04/222 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 27/05/2025 წლის №01-04/105ბრძანებით);
- ვერიფიკაციის ფორმები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

.....

.....

.....

05.08.2025

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---